ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2018 წლის 14 ივნისი

ქ. ონი

,,ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.118.016218) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე — შუქურა ჯაფარიძე

დანართი

თავი I
ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლი ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,504.4	8,587.9	5,173.8	3,414.1	5,679.9	2,219.5	3,460.4
გადასახადები	304.4	255.5	0.0	255.5	250.0	0.0	250.0
გრანტები	5,815.6	7,960.5	5,173.8	2,786.7	5,274.9	2,219.5	3,055.4
სხვა შემოსავლები	384.4	371.9	0.0	371.9	155.0	0.0	155.0
ხარჯები	2,612.8	2,715.9	138.1	2,577.8	3,125.7	27.6	3,098.1
შრომის ანაზღაურება	973.8	876.0	0.0	876.0	1,074.8	0.0	1,074.8

საქონელი და მომსახურება	775.6	966.2	109.7	856.5	978.0	0.0	978.0
პროცენტი	2.6	0.9	0.0	0.9	55.8	0.0	55.8
სუბსიდიები	644.9	659.7	0.0	659.7	729.7	0.0	729.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	81.4	114.6	28.4	86.2	117.8	27.6	90.2
სხვა ხარჯები	134.5	98.5	0.0	98.5	169.6	0.0	169.6
საოპერაციო სალდო	3,891.5	5,872.0	5,035.7	836.3	2,554.2	2,191.9	362.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,209.7	6,016.0	5,231.1	784.9	4,724.7	3,777.4	947.4
ზრდა	2,239.4	6,050.2	5,231.1	819.1	4,735.7	3,777.4	958.4
კლება	29.7	34.2	0.0	34.2	11.0	0.0	11.0
მთლიანი სალდო	1,681.8	-144.0	-195.4	51.4	-2,170.5	-1,585.4	-585.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,618.2	-181.2	-215.3	34.1	-2,170.5	-1,585.4	-585.0
ზრდა	1,618.2	34.1	0.0	34.1	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,618.2	34.1	0.0	34.1	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	215.3	215.3	0.0	2,170.5	1,585.4	585.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	215.3	215.3	0.0	2,170.5	1,585.4	585.0
ვალდებულებების ცვლილება	-63.5	-37.2	-19.9	-17.3	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	63.5	37.2	19.9	17.3	0.0	0.0	0.0
საშინაო	63.5	37.2	19.9	17.3	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**6,534.0**	**8,622.1**	**5,173.8**	**3,448.3**	**5,690.9**	**2,219.5**	**3,471.4**
შემოსავლები	6,504.4	8,587.9	5,173.8	3,414.1	5,679.9	2,219.5	3,460.4
არაფინანსური აქტივების კლება	29.7	34.2	0.0	34.2	11.0	0.0	11.0
გადასახდელები	**4,915.8**	**8,803.4**	**5,389.1**	**3,414.2**	**7,861.4**	**3,805.0**	**4,056.4**
ხარჯები	2,612.8	2,715.9	138.1	2,577.8	3,125.7	27.6	3,098.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,239.4	6,050.2	5,231.1	819.1	4,735.7	3,777.4	958.4
ვალდებულების კლება	63.5	37.2	19.9	17.3	0.0	0.0	0.0
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**25.7**	**25.7**	**0.0**
ნაშთის ცვლილება	**1,618.2**	**-181.2**	**-215.3**	**34.1**	**-2,170.5**	**-1,585.4**	**-585.0**

მუხლი 3. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის შემოსავლები 5,679.9 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**6,504.4**	**8,587.9**	**5,173.8**	**3,414.1**	**5,679.9**	**2,219.5**	**3,460.4**
გადასახადები	**304.4**	**255.5**	**0.0**	**255.5**	**250.0**	**0.0**	**250.0**
გრანტები	**5,815.6**	**7,960.5**	**5,173.8**	**2,786.7**	**5,274.9**	**2,219.5**	**3,055.4**
სხვა შემოსავლები	**384.4**	**371.9**	**0.0**	**371.9**	**155.0**	**0.0**	**155.0**

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის გადასახადები 250.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	**304.4**	**255.5**	**0.0**	**255.5**	**250.0**	**0.0**	**250.0**
საშემოსავლო გადასახადი	**87.7**	**22.3**	**0.0**	**22.3**	**20.0**	**0.0**	**20.0**
ქონების გადასახადი	**216.7**	**233.2**	**0.0**	**233.2**	**230.0**	**0.0**	**230.0**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	189.4	210.2	0.0	210.2	220.0	0.0	220.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.1	2.1	0.0	2.1	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	8.7	10.2	0.0	10.2	2.0	0.0	2.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	16.5	10.8	0.0	10.8	8.0	0.0	8.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5,274.9 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	**5,815.6**	**7,960.5**	**5,274.9**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	**0.0**	**0.0**	**0.0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**5,815.6**	**7,960.5**	**5,274.9**
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**2,876.7**	**2,786.7**	**3,055.4**
გათანაბრებითი ტრანსფერი	2,782.1	2,692.1	2,952.4
მიზნობრივი ტრანსფერი	94.6	94.6	103.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**2,938.9**	**5,173.8**	**2,219.5**
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,636.9	5,117.8	2,090.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	302.0	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	0.0	129.5
სხვა პროექტები	0.0	56.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 155.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	**384.4**	**371.9**	**155.0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**284.1**	**110.5**	**90.0**
პროცენტები	**58.1**	**51.4**	**40.0**
რენტა	**225.9**	**59.1**	**50.0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	224.2	56.6	50.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1.7	2.6	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**13.3**	**15.9**	**15.0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**13.3**	**15.9**	**15.0**
სანებართვო მოსაკრებელი	5.3	7.9	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	8.0	8.0	10.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**0.0**	**0.0**	**0.0**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**49.1**	**21.5**	**30.0**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**38.0**	**224.0**	**20.0**

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები 3,125.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	**2,612.8**	**2,715.9**	**138.1**	**2,577.8**	**3,125.7**	**27.6**	**3,098.1**
შრომის ანაზღაურება	**973.8**	**876.0**	**0.0**	**876.0**	**1,074.8**	**0.0**	**1,074.8**
საქონელი და მომსახურება	**775.6**	**966.2**	**109.7**	**856.5**	**978.0**	**0.0**	**978.0**

პროცენტი	2.6	0.9	0.0	0.9	55.8	0.0	55.8
სუბსიდიები	644.9	659.7	0.0	659.7	729.7	0.0	729.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	81.4	114.6	28.4	86.2	117.8	27.6	90.2
სხვა ხარჯები	134.5	98.5	0.0	98.5	169.6	0.0	169.6

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4,735.7 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4,735.7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	14.7	30.7	52.4
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.0	0.0	1.2
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,214.7	6,019.5	4,682.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	9.0	0.0	0.0
სულ ჯამი	2,239.4	6,050.2	4,735.7

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 11.0 ათ.ლარი:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	29.7	34.2	11.0
ძირითადი აქტივები	23.6	0.0	0.0
მატერიალური მარაგები	0.3	2.3	0.0
არაწარმოებული აქტივები	5.8	31.9	11.0
მიწა	5.8	31.9	11.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,310.2	1,340.2	1,637.4

7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,309.7	1,335.9	1,616.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,309.7	1,335.9	1,566.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	49.6
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	15.8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.5	4.3	5.5
702	**თავდაცვა**	**52.9**	**52.3**	**64.1**
703	**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**0.0**	**0.0**	**0.0**
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**1,456.9**	**2,568.7**	**2,952.3**
7045	ტრანსპორტი	1,156.7	2,515.6	2,952.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,156.7	2,515.6	2,952.3
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	300.1	53.1	0.0
705	**გარემოს დაცვა**	**458.4**	**1,942.5**	**1,009.7**
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	184.1	191.1	257.8
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	274.3	1,751.4	751.9
706	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**763.0**	**2,045.4**	**1,302.7**
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	329.1	1,611.4	970.0
7063	წყალმომარაგება	300.0	271.2	122.2
7064	გარე განათება	133.8	162.9	210.6
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	**33.5**	**30.1**	**44.7**
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	33.5	30.1	44.7
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**540.8**	**514.5**	**536.5**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	107.6	118.9	138.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	350.9	335.4	327.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0.0	0.0	0.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	82.4	60.2	71.5
709	**განათლება**	**153.0**	**160.0**	**190.0**

7091	სკოლამდელი აღზრდა	153.0	160.0	190.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	0.0	0.0
710	**სოციალური დაცვა**	**83.5**	**112.4**	**124.0**
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	45.7	42.8	41.4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	40.0	38.0	35.4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	5.8	4.8	6.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.0	1.3	2.2
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.9	1.8	5.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	24.8	28.6	34.9
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	10.2	38.0	40.6
	სულ:	**4,852.2**	**8,766.1**	**7,861.4**

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2,170.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 2,170.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი II
ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ ქვეპროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და თავდაცვა.

1.ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა: რეაბილიტაცია, ქალაქის დასუფთავება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან, ქ. ონში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია. მიმდინარეობს წილობრივი დაფინანსებით სოფ. ბარი-მრავალძლის გზის და სოფ. ღარის შიდა გზების

ასფალტირება, სოფ. უწერაში მინერალური წყლის „ნაპერწკალას“ და სოფ. ჭალაში მინერალური წყლის „ჭალის წყლის“ კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება, მოხდება ყოფილი ბაზრის ტერიტორიის და ქალაქის კეთილმოწყობის წილობრივი დაფინანსება.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. განხორციელდება ადგილობრივი გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და სოფ. ჯინჭვისში, გომში, გლოლაში, გადამში, ნიგავზებში, წოლაში, წოლაში გზაზე კედლის ბეტონის, ლაჩთა-შეუბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ ბარში ხიდის რეაბილიტაცია და სოფ. ღარში მდინარეზე გადასასვლელი ბოგირის მოწყობა. მიმდინარეობს წილობრივი დაფინანსებით სოფ. ბარი-მრავალძლის გზის და სოფ. ღარის შიდა გზების ასფალტირება, განხორციელდება 2017 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად სოფ. პატარა ღებში გზის რეაბილიტაცია, ადგილობრივი გზების თოვლისაგან და მეწყერისაგან წმენდის სამუშაოები, სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდასასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

1.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის როგორც ქალაქად, ისე სოფლად კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ტექნიკური მომსახურება და ახალი წერტილების დამატება სოფ. ჯინჭვისში, ჭიორაში, ქვედში და ნაკიეთში, ქ.ონში ბულვარის, დ.აღმაშენებლის სკვერის, რიონის და ჭალულის ხიდების განათების სამუშაოები.

1.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. განხორციელდება მაწანწალა ძაღლების პრევენციული ღონისძიებები.

1.4 საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა- რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს ყოფილი რესტორნის შენობიდან სადგურამდე, არტუანის უბანში და სოფ. პიპილეთის ქვედა უბანში, წმენდაურში, სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. ქ. ონში განხორციელდება სანიაღვრე არხების წმენდა და საბავშვო ბაღის გარე კანალიზაციის ქსელის დასრულების სამუშაო. განხორციელდება 2017 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ქ. ონში, ვაჟა-ფშაველას ჩიხში და მინდელის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფ. ღარში კანალიზაციის და სოფ. ღებში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება, სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი გაბიონების და სანიაღვრე არხების მოწყობა.

1.5 წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში სევაში, ღებში, ქრისტესში, ხირხონისში, ქორთაში, კომანდელში, ნაკიეთში, ჟამიერეთში, ქვედში, ხიდეშლებში, ონჭევში, ბასილაშვილების უბანში და გადამში წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაო, წყლის სისტემის მილების, გადამყვანების და მექანიკური ქუროების შეძენა და მოხდება წყალმომარაგების ქსელის მომსახურება. განხორციედება 2017 წელს აღებული ვალდებულების შესაბამისად სოფ.

უწერაში, სევაში, ახალ ჩორდში და შარდომეთში წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

1.6 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში არსებულ საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. მოხდება დაფინანსება საინჟინრო, საამშენებლო, საზედამხედველო, ტექნიკურ მომსახურებაზე. გამოცხადდება შესყიდვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურებაზე, სოფ.პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, სოფ.სორგითში მდებარე წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები და ქ.ონში გ.ჯაფარიძის სახელობის ბულვარის შემოღობვა-შეკეთების სამუშაოები. მოეწყობა ონი-ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის რეაბილიტაცია და დემეტრე II-ის მოედანზე სკვერის შემოღობვის სამუშაოები, სოფ. ქვედში ყოფილი სკოლის შენობის ნანგრევების გატანა და მოხდება წილობრივი დაფინანსებით სოფ. უწერაში მინერალური წყლის „ნაპერწკალას“ და სოფ. ჭალაში მინერალური წყლის „ჭალის წყლის“ კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება, ყოფილი ბაზრის ტერიტორიის და ქალაქის კეთილმოწყობა. განხორციელდება 2017 წელს აღებული ვალდებეულებების შესაბამისად, ქ. ონში სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები.

1.7 ა(ა)იპ გამწვანების სამსახური (პროგრამული კოდი 03 05)

განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გამწვანების ობიექტების მოწყობა-მოვლა-პატრონობა, ზეხმელი და ავარიული ხეების გეგმური ფორმირებები, არსებული სკვერების, გაზონების, ფერდობებისა და ყვავილნარების მოვლა-პატრონობა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 130 ბავშვი და დაქვემდებარებაშია ალტერნატიული ჯგუფები სოფ. ღარში, გლოლაში და ჭიორაში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯის.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

3.1.1 ბავშთა და მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში და ტურისტური ლაშქრობა. დაკავებულია მუნიციპალიტეტის 85-მდე სპორტსმენი ფეხბურთის და კალათბურთის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3.1.2 ბავშთა და მოზარდთა კომპლექსური საჭიდაო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში დაკავებულია მუნიციპალიტეტის 30-მდე სპორტსმენი ჭიდაობის სფეროში, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3.2 კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1 ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტში 2018 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. ქ.ონში ფუნქციონირებს ააიპ სახელოვნებო სკოლა, სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. მუსიკალური სკოლაში სწავლობს 26-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი, ისე მშობელთა შემონატანით, ერთი ბავშვის გადასახადი წლიურად განისაზღვრება 80 ლარით. სამხატვრო სკოლაში დაკავებულია 48-მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს ხატვის, ფერწერის, ძერწვის, თექის, ბატიკის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების წრეები. დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე შემონატანებით, თითოეულ ბავშვზე გადასახადი შეადგენს 8 ლარს, გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან წარჩინებული მოსწავლეები. წლის განმავლობაში მიმდინარეობს სააღდგომო, გასვლითი სხვა რეგიონებში, საშემოდგომო, საახალწლო და საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვები. აღსაზრდელებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში.

3.2.2 კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სადაც დაკავებულია ამ დროისათვის 100 ბავშვი. კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიის წრე, ხალხური ინსტრუმენტების შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერის წრე, დრამატურგის წრე, ფოლკლორული ანსაბლი „რაჭა“ და „ბუბა“. დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე მშობელთა შემონატანით. შემოსავალი სხვადასხვა წრეებზე სხვადასხვა თანხით საშუალოდ ერთ ბავშვზე 10 ლარით განისაზღვრება.

3.2.3 მუზეუმის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ონის სამხარეო მუზეუმის დაფინანსება, სადაც წლების განმავლობაში ინახება უნიკალური ექსპონატები და დაცულია ეთნოგრაფიული მასალები.

3.2.4 ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2018 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. ბიბლიოთეკის გაერთიანებაში გადის 1 მთავარი და 17 სასოფლო ფილიალი.

3.2.5. ტურისტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით. ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება-შეგროვება, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისის პროექტების მომზადება.

3.3 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დაინტერესების სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, როგორიცაა მურმან ლებანიძისადმი და ზურაბ ქაფიანიძისადმი მიძღვნილი საღამო, ონელობის და საახალწლო ღონისძიება, მოწვეული იქნებიან ფოლკლორული კოლექტივები, ონიდან დედაქალაქში წასული და იქ მოღვაწე ხელოვანები, დასასრულს გაიმართება დასკვნითი კონცერტი. ჩატარდება კომპოზიტორ ვ.დურგლიშვილის კონცერტი-ღონისძიება.

3.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონში სოფ. შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაო.

3.5 ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, სადაც სხვადასხვა წრეებზე დაკავებულია 120 ბავშვი, რომელთა შემონატანი საშუალოდ ერთ ბავშვზე შეადგენს 10 ლარს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ფინანსება როგორც ბიუჯეტიდან, ასევე თავისი შემონატანებით. ფუნქციონირებს ფოლკლორის, დრამატურგის, ანა-ბანის, ფანდურის, ინგლისურის, ფიზიკის, მათემატიკის, კომპიუტერის შემსწავლელი, ჭადრაკის და მხარეთმცოდნეობის წრეები.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და პიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პროგრამა;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიზნით ფულადი შემწეობის გაცემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას, ერთჯერადი დახმარება შვილის შეძენასთან დაკავშირებით და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელსაც არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა;

4.2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით გაიწევა ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით;

4.2.3 მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით - ობოლ ბავშვებს და სოციალურად დაუცველ ოჯახების ბინის ქირით გაცემული ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მრავალშვილიან ოჯახებზე 18 წლამდე ასაკის, სამ და მეტ შვილზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება სამ შვილზე – 100 ლარი დაახლოებით 50 ოჯახზე; ოთხ შვილზე – 150 ლარი, დაახლოებით 8 ოჯახზე; ხუთ შვილზე 200 ლარი 2 ოჯახზე; ექვსს და მეტ შვილზე – 250 ლარი 2 ოჯახზე;
- მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებზე საახალწლო-საშობაოდ ოჯახზე 50 ლარი;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახებზე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0–1 წლამდე ბავშვებზე 350 ლარის ოდენობით;
- ახალშობილ ბავშვზე და მეორე შვილზე ერთჯერადი დახმარება 400 ლარის ოდენობით;
- სოციალური სუბსიდიის სააგენტოს ონის სამსახურში რეგისტრირებულ ობოლ ბავშვთა დახმარების მიზნით, ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის თითოეულზე, სულ 35 ბავშვზე გაიცემა შემწეობა 100 ლარი და საახალწლო-საშობაოდ ოჯახზე 50 ლარი;
- სოციალურად დაუცველ ოჯახს ბინის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს თვეში 100 ლარისა.

4.2.4 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

4.2.5 სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული

კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სტიქიური მოვლენების დროს ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი, წყალდიდობა, რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი, თითოეულ ოჯახზე არაუმეტეს 3000-ლარამდე დახმარების გაცემა.

4.2.6.9 და 26 მაისის, 8 მარტს, 17 ოქტომბერს და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამამულო ომის ვეტერანებზე 9 მაისთან დაკავშირებით გაიცემა ფულადი შემწეობა 200 ლარის ოდენობით სულ 2 ბენეფიციარი;
- ომის ვეტერანები საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირებზე, აგრეთვე ბრძოლის დროს დაღუპულთა მეომრების თითოეულ ოჯახზე გაიცემა ფულადი შემწეობა 100 ლარის ოდენობით, სულ 9 ბენეფიციარი, 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;
- სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა და ინვალიდთა ოჯახებისათვის საახალწლო საჩუქარი 100 ლარის ოდენობით;
- 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერან ქალბატონზე ფულადი საჩუქარი 100 ლარის ოდენობით;
- 17 ოქტომბერს ვეტერანის დღის აღსანიშნავად სოციალურად დაუცველი ომის ვეტერანებისათვის ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

4.2.7 სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, დაინვალიდებულია ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამამულო ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახები, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტში მონაწილეთა ასევე აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებს გაეწიოთ შეღავათები განთავისუფლდნენ წყლისა და დასუფთავების მოსაკრებლების გადასახადიდან, სულ 192 ბენეფიციარი;
- მეორე მსოფლიო ომის თითეულ ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშეშე მერქნის შესაძენად გაიცემა ერთჯერადი ფილადი შემწეობა 400 ლარის ოდენობით 2 ბენეფიციარზე.

4.2.8 ას წელს გადაცილებულთა სოციალური დაცვა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება, თითოეულზე 500 ლარის ოდენობით.
- უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი, რომელსაც არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე გაიცემა 250 ლარამდე.

4.2.9 ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით გაიცემა თითოეულ

ოჯახზე 200 ლარი.

5. მმართველობა და თავდაცვა (პროგრამული კოდი 01 00, 02 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

5.1 მმართველობა (პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და კვალიფიციური მუშაობა. მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს, ასოცირებულ საწევრო გადასახადს.

5.2 თავდაცვა (პროგრამული კოდი 02 00)

პროგრამის მიზანია კანონით განსაზღვრული დელიგირებული ფუნქციების უზრუნველყოფა. შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

თავი III
ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ონის მუნიციპალიტეტი	4,915.8	8,803.4	5,389.1	3,414.2	7,861.4	3,805.0	4,056.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	107	106	0	106	114	0	114
	ხარჯები	2,612.8	2,715.9	138.1	2,577.8	3,125.7	27.6	3,098.1
	შრომის ანაზღაურება	973.8	876.0	0.0	876.0	1,074.8	0.0	1,074.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,239.4	6,050.2	5,231.1	819.1	4,735.7	3,777.4	958.4
	ვალდებულებების კლება	63.5	37.2	19.9	17.3	0.0	0.0	0.0
	წარმომადგენლობითი და							

01 00	აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,324.1	1,354.6	0.0	1,354.6	1,637.4	0.0	1,637.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	101	100	0	100	108	0	108
	ხარჯები	1,295.5	1,309.5	0.0	1,309.5	1,584.9	0.0	1,584.9
	შრომის ანაზღაურება	929.3	831.4	0.0	831.4	1,021.4	0.0	1,021.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.7	30.7	0.0	30.7	52.4	0.0	52.4
	ვალდებულებების კლება	13.9	14.3	0.0	14.3	0.0	0.0	0.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	377.1	365.8	0.0	365.8	424.7	0.0	424.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19	19	0	19	23	0	23
	ხარჯები	376.1	365.8	0.0	365.8	419.5	0.0	419.5
	შრომის ანაზღაურება	285.2	276.4	0.0	276.4	328.9	0.0	328.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0	0.0	5.2	0.0	5.2
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	946.4	984.4	0.0	984.4	1,141.8	0.0	1,141.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	82	81	0	81	85	0	85
	ხარჯები	918.9	939.4	0.0	939.4	1,094.5	0.0	1,094.5
	შრომის ანაზღაურება	644.1	555.0	0.0	555.0	692.5	0.0	692.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13.6	30.7	0.0	30.7	47.2	0.0	47.2
	ვალდებულებების კლება	13.9	14.3	0.0	14.3	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	49.6	0.0	49.6
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	49.6	0.0	49.6
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნ.	0.0	0.0	0.0	0.0	15.8	0.0	15.8

	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	15.8	0.0	15.8
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 07	ასოცირებული საწევრო გადასახადი	0.3	4.3	0.0	4.3	5.5	0.0	5.5
	ხარჯები	0.3	4.3	0.0	4.3	5.5	0.0	5.5
01 09	წინა წელს გამოუყენებელი და უკან დაბრუნებული თანხა	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	52.9	52.3	0.0	52.3	64.1	0.0	64.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6	6	0	6	6	0	6
	ხარჯები	51.9	52.3	0.0	52.3	62.9	0.0	62.9
	შრომის ანაზღაურება	44.4	44.6	0.0	44.6	53.4	0.0	53.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0	0.0	1.2	0.0	1.2
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	0	0	0	0	0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	52.9	52.3	0.0	52.3	64.1	0.0	64.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6	6	0	6	6	0	6
	ხარჯები	51.8	52.3	0.0	52.3	62.9	0.0	62.9
	შრომის ანაზღაურება	44.4	44.6	0.0	44.6	53.4	0.0	53.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0	0.0	1.2	0.0	1.2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია	2,698.6	6,579.0	5,360.7	1,218.3	5,264.7	3,777.4	1,487.4

	და ექსპლოატაცია							
	ხარჯები	463.6	537.1	109.7	427.4	582.7	0.0	582.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,214.7	6,019.5	5,231.1	788.4	4,682.0	3,777.4	904.7
	ვალდებულებების კლება	20.4	22.4	19.9	2.5	0.0	0.0	0.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა	1,171.4	2,538.1	2,255.3	282.7	2,952.3	2,643.9	308.5
	ხარჯები	78.7	87.5	0.0	87.5	87.9	0.0	87.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,078.1	2,428.1	2,235.4	192.7	2,864.5	2,643.9	220.6
	ვალდებულებების კლება	14.7	22.4	19.9	2.5	0.0	0.0	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,227.1	3,972.6	3,061.9	910.7	2,282.4	1,133.5	1,148.9
	ხარჯები	357.2	434.3	109.7	324.6	464.8	0.0	464.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	864.2	3,538.3	2,952.2	586.1	1,817.6	1,133.5	684.1
	ვალდებულებების კლება	5.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 01	საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	134.6	162.9	0.0	162.9	210.6	0.0	210.6
	ხარჯები	116.4	125.5	0.0	125.5	180.2	0.0	180.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17.5	37.4	0.0	37.4	30.3	0.0	30.3
	ვალდებულებების კლება	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	184.1	191.1	0.0	191.1	257.8	0.0	257.8

	ხარჯები	184.1	191.1	0.0	191.1	257.8	0.0	257.8
03 02 04	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	274.3	1,751.4	1,656.3	95.1	751.9	669.7	82.1
	ხარჯები	46.8	109.7	109.7	0.0	17.0	0.0	17.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	227.5	1,641.7	1,546.6	95.1	734.9	669.7	65.2
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	304.7	271.2	173.6	97.6	122.2	26.7	95.5
	ხარჯები	4.8	2.2	0.0	2.2	5.2	0.0	5.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	295.3	269.0	173.6	95.4	117.0	26.7	90.2
	ვალდებულებების კლება	4.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	329.4	1,596.1	1,232.0	364.1	940.0	437.0	502.9
	ხარჯები	5.1	5.9	0.0	5.9	4.6	0.0	4.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	324.0	1,590.2	1,232.0	358.2	935.3	437.0	498.3
	ვალდებულებების კლება	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 04	ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	300.1	53.1	43.5	9.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	27.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	272.4	53.1	43.5	9.5	0.0	0.0	0.0
03 05	ა(ა)იპ – ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური	0.0	15.3	0.0	15.3	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	0.0	15.3	0.0	15.3	30.0	0.0	30.0
04 00	განათლება	153.0	160.0	0.0	160.0	190.0	0.0	190.0
	ხარჯები	153.0	160.0	0.0	160.0	190.0	0.0	190.0

04 01	სკოლამდელი განათლება	153.0	160.0	0.0	160.0	190.0	0.0	190.0
	ხარჯები	153.0	160.0	0.0	160.0	190.0	0.0	190.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	540.8	514.5	0.0	514.5	536.5	0.0	536.5
	ხარჯები	531.8	514.5	0.0	514.5	536.5	0.0	536.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	107.6	118.9	0.0	118.9	138.0	0.0	138.0
	ხარჯები	107.6	118.9	0.0	118.9	138.0	0.0	138.0
05 01 01	ბავშთა და მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლა	107.6	78.8	0.0	78.8	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	107.6	78.8	0.0	78.8	70.0	0.0	70.0
05 01 02	ბავშთა და მოზარდთა კომპლექსური საჭიდაო სკოლა	0.0	40.1	0.0	40.1	68.0	0.0	68.0
	ხარჯები	0.0	40.1	0.0	40.1	68.0	0.0	68.0
05 02	კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა	314.4	298.7	0.0	298.7	290.0	0.0	290.0
	ხარჯები	314.4	298.7	0.0	298.7	290.0	0.0	290.0
05 02 01	ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა	67.8	67.8	0.0	67.8	68.0	0.0	68.0
	ხარჯები	67.8	67.8	0.0	67.8	68.0	0.0	68.0
05 02 02	კულტურის ცენტრისდაფინანსება	96.6	97.2	0.0	97.2	97.0	0.0	97.0
	ხარჯები	96.6	97.2	0.0	97.2	97.0	0.0	97.0
05 02 03	მუზეუმის დაფინანსება	50.1	49.5	0.0	49.5	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	50.1	49.5	0.0	49.5	50.0	0.0	50.0

05 02 04	ბიბლიოთეკების დაფინანსება	51.2	50.8	0.0	50.8	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	51.2	50.8	0.0	50.8	50.0	0.0	50.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	23.3	8.4	0.0	8.4	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	23.3	8.4	0.0	8.4	0.0	0.0	0.0
05 02 06	ტურისტული ცენტრი	25.3	25.0	0.0	25.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	25.3	25.0	0.0	25.0	25.0	0.0	25.0
05 03	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	48.6	29.7	0.0	29.7	31.5	0.0	31.5
	ხარჯები	39.6	29.7	0.0	29.7	31.5	0.0	31.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	33.8	30.5	0.0	30.5	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	33.8	30.5	0.0	30.5	40.0	0.0	40.0
05 05	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	36.5	36.8	0.0	36.8	37.0	0.0	37.0
	ხარჯები	36.5	36.8	0.0	36.8	37.0	0.0	37.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	146.3	143.0	28.4	114.6	168.7	27.6	141.1
	ხარჯები	117.0	142.5	28.4	114.1	168.7	27.6	141.1
	ვალდებულებების კლება	29.3	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	33.5	30.1	0.0	30.1	44.7	0.0	44.7
	ხარჯები	33.5	30.1	0.0	30.1	44.7	0.0	44.7
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	112.8	112.9	28.4	84.5	124.0	27.6	96.4
	ხარჯები	83.5	112.4	28.4	84.0	124.0	27.6	96.4

	ვალდებულებების კლება	29.3	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	40.0	38.5	0.0	38.5	35.4	0.0	35.4
	ხარჯები	40.0	38.0	0.0	38.0	35.4	0.0	35.4
	ვალდებულებების კლება	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	6.0	4.8	0.0	4.8	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	5.8	4.8	0.0	4.8	6.0	0.0	6.0
	ვალდებულებების კლება	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 03	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების, ობოლ ბავშვებზე და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით გაცემული ხარჯი	25.3	28.6	0.0	28.6	34.9	0.0	34.9
	ხარჯები	24.8	28.6	0.0	28.6	34.9	0.0	34.9
	ვალდებულებების კლება	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	0.8	0.3	0.0	0.3	3.0	3.0	0.0
	ხარჯები	0.8	0.3	0.0	0.3	3.0	3.0	0.0
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარება	8.2	6.5	0.0	6.5	9.7	0.0	9.7
	ხარჯები	7.7	6.5	0.0	6.5	9.7	0.0	9.7
	ვალდებულებების კლება	0.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 7 ოქტომბრს და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	2.5	3.1	0.0	3.1	3.3	0.0	3.3
	ხარჯები	2.5	3.1	0.0	3.1	3.3	0.0	3.3
	სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში							

06 02 07	დაღუპულთა, დაინვალ. ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა	1.1	1.5	0.0	1.5	2.0	0.0	2.0
	ხარჯები	1.1	1.5	0.0	1.5	2.0	0.0	2.0
06 02 08	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება	1.0	1.3	0.0	1.3	2.2	0.0	2.2
	ხარჯები	1.0	1.3	0.0	1.3	2.2	0.0	2.2
06 02 09	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	28.0	28.4	28.4	0.0	27.6	27.6	0.0
	ხარჯები	0.0	28.4	28.4	0.0	27.6	27.6	0.0
	ვალდებულებების კლება	28.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

თავი IV
მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15

ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16

ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 17

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი გაიხარჯება მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 18

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 19

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 103.0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 20

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.